

1. **ხედვა:** რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად?

უმთავრესი ამოცანა არის მმართველობის ფორმებით დემოკრატიული და შინაარსით ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ეს გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, აფხაზთა და ქართველთა ერთიანი სახელმწიფოს სახით.

2. **განათლება:** როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

აუცილებელია განათლების დონის თვისებრივი გაუმჯობესება ყველა საფეხურზე. განათლების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება. ქვეყნის ბიუჯეტში განათლებისთვის განკუთვნილი ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა. ყველა დონის განათლების უფასოდ მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ფუნდამენტურ და ტრადიციულ მეცნიერებათა განვითარების სტიმულირების მექანიზმების შექმნა და ამოქმედება. მასწავლებელთა შემადგენლობის აქტიური და ეფექტური გადამზადება.

3. **გადასახადები:** თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?

საქართველოსთვის მისაღებია ლიბერალური, მცირე და საშუალო მეწარმეობის სტიმულირებაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა. ეს ხელს შეუწყობს უმუშევრობის პრობლემის დაძლევას და სოციალური უთანაბრობის შემცირებას.

4. **ეკონომიკა:** როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული და რა კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებდით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს?

ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროა: სახელმწიფოს მხრიდან აშკარა პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება; სოფლის მეურნეობის სუბსიდირება; მცირე და საშუალო მეწარმეობის ყოველმხრივი წახალისება (სპეციალური ფონდების შექმნა, შიდა ბაზრის დაცვა, საგადასახადო შეღავათები და სხვ.); მიზნობრივი ინვესტიციების მოზიდვა.

5. **დასაქმება:** თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?

დასაქმების პრობლემის გადასაწყვეტად, გარდა ზემოაღნიშნული ქმედებებისა, საჭიროა სამუშაო ადგილების შექმნაზე საგადასახადო შეღავათების დაწესება; შრომის კოდექსის სრულყოფა დაქირავებულთა ინტერესების შემდგომი დაცვის მიმართულებით.

**6. ჯანდაცვა:** *რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამალდეს მისი ხარისხი?*

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისთვის აუცილებელია, რომ პირველადი სამედიცინო დახმარება მოსახლეობისთვის უფასო იყოს. უნდა აღორძინდეს სახელმწიფო პოლიკლინიკათა ქსელი. საჭიროა ექიმთა კვალიფიკაციაზე, დახელოვნებასა და გადამზადებაზე (მათ შორის, მსოფლიოს მოწინავე კლინიკებში) მუდმივი ზრუნვა.

**7. სოციალური უსაფრთხოება:** *რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?*

სამუშაო ადგილების დაზღვევა; დანაზოგების დაზღვევა; მცირე და საშუალო ბიზნესის ყოველმხრივი ხელშეწყობით სოციალური დისბალანსის მკვეთრი შემცირება; მოქალაქეთა კერძო საკუთრების დაცვა ფინანსური, იპოთეკური და სხვა სახის რისკებისგან. ვინაიდან საქართველოში ამ პრობლემას მწვავე სოციალური სახე აქვს, საჭიროა ეფექტური ზომების გატარება სახელმწიფოს მხრიდან.

**8. ადგილობრივი თვითმმართველობა:** *თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?*

ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა იქნეს ორგანიზებული რეგიონული პრინციპით. იგი უნდა შედგებოდეს ორი დონისგან (მუნიციპალური და რეგიონული). საჭიროა მმართველობის დეცენტრალიზაცია, რაც გულისხმობს უფლებამოსილებების (მათ შორის, საბიუჯეტო უფლებამოსილებების) გამიჯვნას.

**9. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები:** *რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგავთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?*

ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად საჭიროდ მიმაჩნია ნეიტრალიტეტის (მიუმხრობლობის პოლიტიკის) გამოცხადება. ეს საშუალებას მოგვცემს მოვხსნათ დამაბულობა კონფლიქტის მხარეებს შორის და დავპლიოთ უნდობლობა, რაც პროდუქტიული გახდება უშუალო მოლაპარაკებების საწარმოებლად. მიმაჩნია, რომ

ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა აფხაზთა და ოსთა ინტერესების რეალური გათვალისწინება.

**10. უმცირესობათა უფლებები:** *რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?*

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სექსუალურ უმცირესობათა უფლებები დაცულია. ამოცანა არის ამ კანონმდებლობის განუხრელი დაცვა.

**11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში:** *გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.*

ჩვენ უნდა მოვახერხოთ ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. ეს უზრუნველყოფს მათ გამოთავისუფლებას პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩასართავად. ქართული პოლიტიკური ტრადიცია გულისხმობს ქალთა თავისუფალ კონკურენციას პოლიტიკურ სარბიელზე. ეს საპრეზიდენტო კამპანიითაც დასტურდება.

**12. უმცირესობათა უფლებები:** *რა პოლიტიკას გაატარებდით ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციისათვის?*

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირებისთვის აუცილებელია სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ სახელმწიფო ენის სრულყოფილ ათვისებას. ამასთან, საჭიროა მათი კულტურული ტრადიციების, ენის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულფასოვნად შესწავლისა და თავისუფლად გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა თავი სრულუფლებიან მოქალაქედ უნდა იგრძნოს.

**13. გარემოს დაცვა/ეკოლოგია:** *გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.*

საქართველოს ბუნება ჩვენი სიმდიდრეა. იგი წარმოადგენს ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ ძირითად მდგენელს. ამდენად, ბუნებაზე ნებისმიერი ზემოქმედება, რაც მას აზიანებს, ვერ გამართლდება ვერანაირი ეკონომიკური ან სხვა ეფექტით.

**14. საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა:** რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებას ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/ გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

მიმაჩნია, რომ საქართველოს ინტერესების დასაცავად საჭიროა ნეიტრალიტეტის (მიუმხრობლობის) პოლიტიკის გატარება. ეს საშუალებას მოგვცემს ვითანამშრომლოთ ნებისმიერ ქვეყანასა და სამხედრო ბლოკთან ქვეყნის ინტერესიდან გამომდინარე.

**15. რეგიონული თანამშრომლობა:** როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

სასურველია მივაღწიოთ მდგომარეობას, როცა გვექნება ნულოვანი პრობლემა ყველა მეზობელთან. რეგიონული თანამშრომლობა უნდა გამოვიყენოთ რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად, უპირველეს ყოვლისა, დეოკუპაციის მიზნით.

**16. თავდაცვის პოლიტიკა:** როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?

საქართველოს სჭირდება მცირერიცხოვანი, მობილური, კარგად აღჭურვილი პროფესიული არმია, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. მხარს ვუჭერ სამხედრო სამსახურის საკონტრაქტო ფორმას.

**17. უსაფრთხოების პოლიტიკა:** როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველი უნდა იყოს ნეიტრალიტეტი (მიუმხრობლობა). იმავდროულად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყანას უნდა ჰყავდეს მობილური არმია, რომელიც აგვარიდებს საგარეო საფრთხეს, ამასთან, პოლიციისა და სხვა პარამილიტარული ძალების მეშვეობით უნდა აღიკვეთოს სახელმწიფოსა და მოქალაქის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედება.

**18. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა:** თქვენი აზრით, უნდა აიკრძალოს თუ არა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა - აბორტი? რატომ?

ორსულობის შეწყვეტა უნდა ემყარებოდეს სამედიცინო ჩვენებას.

**19. გადასახადები და კრედიტი:** *უნდა ჰქონდეთ თუ არა კრედიტორებს კრედიტის/გასესხებული თანხის იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ფართის ხარჯზე ამოღების უფლება? რატომ?*

იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ფართის ხარჯზე კრედიტების უზრუნველყოფა დაუშვებელია, ვინაიდან, ამგვარი იპოთეკის ხელშეკრულებები, თავისი არსით, იმთავითვე კაბალურ გარიგებას წარმოადგენს.

**20. მიწის საკუთრება:** *როგორ ფიქრობთ, უნდა შეეძლოს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში?*

უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა საქართველოში უნდა აეკრძალოთ, ვინაიდან მიწა საქართველოს მცხოვრებთათვის ისტორიულად არ ყოფილა ბიზნესის ობიექტი. მიწათმოქმედება არ არის მომგებიანი და გულისხმობს სახელმწიფო სუბსიდირებას. ხოლო საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან გაღებული სუბსიდიები უნდა ხმარდებოდეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს სახელმწიფოს შეუვალი ინტერესები მოითხოვს სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების შენარჩუნებას (მელვინეობის, მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის და სხვ.). ეს შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროგრამებით. მათში მონაწილეობა კი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მიზანშეწონილი არ არის.